# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 108-ე მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1979 წლის 4 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 13 დეკემბერი.


● მთავარი გამოცდა — სპარტაკიადა მე-2 გვ.

● ჭიათურელი ფიზკულტურელების სამზადისი მე-2 გვ.

● თბილისის საერთაშორისო ტურნირის ბოლო აკორდი 1-ლი — მე-3 გვ.

● დასავლეთგერმანელი სპეციალისტის აზრით... 1-ლი — მე-3 გვ.

● ვ. მაკეევის ახალი წარმატება მე-4 გვ.

● ეჭვს გამოთქვამენ კოლუმბიაში მსოფლიო საფეხბურთო პირველობის ჩატარების შესახებ მე-4 გვ.

● ბაკურიანი სეზონს ხსნის მე-4 გვ.

● უშვებს ხოშიმინის სპორტული ინვენტარის ფაბრიკა მე-4 გვ.


ეროვნული ბიბლიოთეკა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 247 (6302)

19 დეკემბერი 1978 წ. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


მეთორმეტე ტურის შემდეგ

# ...მედი არის, ...დანარჩენი ...ვენს ...ელთაა

...რამდენიმე ორთაბრძოლაც და ...ლაფერი ნათელი გახდება. თა... ...ას მიიღებენ გამარჯვებულებ... ...დამარცხებულებიც.

...ალიჩაზე დათო ლატარიასა და ...გეი ანდრეევს მოუხმობენ. ამ ...ვედრას კარგა ხანია ელოდა მა...რებელი. ტრიბუნა გაივსო.

...ანამდე რამდენიმე წონაში უკვე ...ოვლინდნენ პრიზიორები. სა...თველოს ნაკრებს ორი გამარ...ბული ჰყავს, ერთიც პრიზიო... ...თემურ ყაზარაშვილმა და ბე... ...გოგიჩაშვილმა მშვენივრად იას...ეს, არც ავთანდილ ქველია...ლის მესამე ადგილია ურიგო. ამ ...ლგაზრდა ათლეტებს კიდევ მი...რუნდებით, ჯერ კი...

...პირველი წუთი. კიეველის ელ...ბური ილეთი — 3:0. დათოს ...სუხო ფანდი მხოლოდ ერთქუ...ანია. მესამე წუთზე მეტოქეე... ...ორ-ორჯერ სცადეს ილეთის ...ტარება. ლატარია 5 ქულას იმსა...რებს, ანდრეევი — სამს. 6:6. ...ის სასტვენი — პირველი პე...ოდი დასრულდა, მოჭიდავეები ...თავიანთ კუთხეში ყურადღებ... ...უსმენენ სეკუნდანტებს. ამ ორ...ბრძოლაში გამარჯვება ტურნი...ი გამარჯვების ტოლფასია.

...ამ ფინალური შეხვედრისადმი ...ერესი შემთხვევითი არ ყოფი... ...სერგეიმაც და დათომაც ყველა ...ტოქე დაამარცხეს. წილისყრამ ...ა, და 68 კგ წონაში ეს ორი ...ლეტი უკანასკნელი ორთაბრძო...სთვის შემოინახა — თითქოს ...ანგებოდ, რათა ერთი მეტად ...ინტერესო კითხვისთვის გაეცა ...უხი. ის კითხვა საერთაშორისო ...ურნირის პირველ დღესვე გაჩნ...

...ერ იყო და ანდრეევის მწვრთ...ელმა განაცხადა — სერგეი მსო...ლიოს ჩემპიონი გახდებაო. მე...თვით ათლეტმაც მიიპყრო ყუ...ადღება. ტაქტიკურად გამართუ... ...ქიდაობით ძალზე ჰკვიანი სპო...სმენის შთაბეჭდილებას სტოვებ... ...ანდრეევი იშვიათად მიდიოდა ...ლაპირ იერიშზე, უფრო იც...და, იწვევდა მეტოქეს. მერე ...ებ „ღვიძებდა" და ყურადღე...ოდუნებული მოწინააღმდეგე მა...ლა მოდიოდა გონს, როცა ან ...ურზე იდგა, ანდა უკეთეს შე...თხვევაში, ორი ქულა ჰქონდა ...აგებული კიეველისთვის.

...ფინალის წინა დღეს „დინამოს" ...ცენტრალური საბჭოს მწვრთნელს ...ამან ხუტორნოის ვესაუბრე.

(დასასრული მე-3 გვ.).

# ვინ დაეწევა ტალს?

გადადებული პარტიების დამთავრების წინ ერთობ დაძაბული სატურნირო მდგომარეობა შეიქმნა — დასამთავრებელია 12 პარტია, რომელთა უმრავლესობა ლიდერთა ჯგუფს ეკუთვნის. 12 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში კვლავ უდგას მ. ტალი, რომელსაც 7 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. შემდეგ არიან: ლ. პოლუგაევსკი, ე. ცეშკოვსკი — 6,5-6,5 (1-1), ე. გელერი — 6,5, ა. ბელიავსკი — 6 (3), ო. რომანიშინი, ე. სვეშნიკოვი—6-6 (1-1), თ. გიორგაძე — 5,5 (2), ი. დორფმანი, ს. მაკარიჩევი — 5-5 (1-1), ვ. ტუკმაკოვი, გ. ტიმოშჩენკო — 5-5, ჰ. კასპაროვი — 4,5 (3), ბ. გულკო — 4,5 (2), ა. მიხალჩიშინი, გ. კუზმინი — 4,5-4,5 (1-1), ი. რაზუვაევი — 4 (3), ვ. ბაგიროვი — 4 (2).

როგორც ხედავთ, ლიდერებში დიდი სიმჭიდროვეა. შეიძლება ისე მოხდეს, რომ რაზუვაევიც კი, რომელიც ამჟამად ბოლოსწინა ადგილზეა, სამი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტიის დამთავრების შემდეგ ცხრილის ზედა ნაწილში მოექცეს, ამიტომ ჯობს, თავი შევიკავოთ დასკვნებისგან და მხოლოდ ვთქვათ, რომ ჯერჯერობით სამ მონაწილეს (ტალს, ცეშკოვსკის, გიორგაძეს) წაგების სიმწარე არ განუცდია.

რა მოხდა განვლილ XI და XII ტურებში, 18 გათამაშებული პარტიიდან 10 ყაიმით დამთავრდა, 7 გადაიდო და მხოლოდ ერთში მიღწეულ იქნა გამარჯვება. ეს ერთადერთი პარტია, რომელშიც ავტორმა იერიში კლასიკურ სტილში დააგვირგვინა, ქვემოთ მოგვყავს.

**გელერი — კუზმინი**

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 g6 6. კe3 კg7 7. f3 მc6 8. ლd2 0—0 9. კc4 კd7 10. h4! ეc8 11. კb3 h5 (ეს ამ ვარიანტის გაძლიერებად ითვლება, მაგრამ იგი საეჭვო ღირებულებისაა). 12. 0—0—0 მe5 13. კg5 მh7 14. კh6 კ:h6 15. ლ:h6 ე:c3 16. bc ლa5 (ასე უთამაშიათ წარმატებით უცხოური ტურნირების რამდენიმე პარტიაში. გელერი შემდგომი თამაშის სწორ გეგმას აგნებს) 17. მფb1! ლ:c3 18. მe2! ლc5 19. g4! მ:f3 20. ეd5 ლf2 21. gh g5 22. hg ლe3 23. ეhd1! კg4 (ამ მდგომარეობაში კუზმინმა საათზე მეტი იფიქრა, მაგრამ დაცვას მაინც ვერ მიაგნო) 24. ე1d3! ლ:e2 25. g6 მfg5 26. ე:g5 ლf1+ 27. მფb2 მ:g5 28. ლ:g5 ლf6+ 29. ლ:f6 ef 30. h6 კh5 და აქ, მეტოქის სვლამდე, კუზმინი დანებდა.

ბოლო ტურებში ტალი ფრთხილადაა. კუზმინთან და ტიმოშჩენკოსთან პარტიებში იგი „ჯიბეში ყაიმით" თამაშობდა. ეს უნდა აიხსნას მისი კარგი სატურნირო მდგომარეობით, ან იმით, რომ იგი თამაშობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანის პრინციპით — ორი ყაიმი იგივე ქულაა! მაგრამ კუზმინთან გადადებულ პარტიაში ტალს ზედმეტი პაიკი და წამყვანი მდგომარეობის განმტკიცების კარგი პერსპექტივა აქვს.

მისი უახლოესი მეტოქენი პოლუგაევსკი და ცეშკოვსკი, აგრეთვე, მხოლოდ ნახევარი ქულით დაწინაურდნენ. პოლუგაევსკი დიდად განაწყენდა, როცა თავის ყოფილ მწვრთნელ ბაგიროვთან შეხვედრაში, ზედმეტი პაიკით (თანაც მეტოქის სასტიკ ცაიტნოტში) დამაჯერებლად რომ ვერ თამაშობდა და უპირატესობაც გაუქრა. ახლა კი შეწყვეტილ პოზიციაში ყაიმია მოსალოდნელი. სამაგიეროდ, ბაგიროვი კარგ გუნებაზე იყო: „მან არასოდეს არ იცოდა თამაში მეტოქის ცაიტნოტში, მუდამ მეტოქის ცაიტნოტის და არა უკეთესი პოზიციის გამოყენებას ცდილობდა!", თქვა ღიმილით ბაქოელმა დიდოსტატმა თავის მოწინააღმდეგეზე. ბაგიროვის სიტყვები უსიამოვნო ჭეშმარიტებაა — პოლუგაევსკის ასე ბევრჯერ უთამაშია საპასუხისმგებლო პარტიები. XII ტურში მან უარი თქვა ხანგრძლივ ბრძოლაზე და მაკარიჩევს დაუზავდა. ცეშკოვსკიც ასე მოიქცა ტიმოშჩენკოსთან, ხოლო გიორგაძესთან პარტია ძალიან გაურკვეველ პოზიციაში გადადო.

XII ტურში მსაჯთა კოლეგიამ ჭადრაკის სახლის დირექციის და რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციის სახელით ბელიავსკის დაბადების დღე მიულოცა. დიდოსტატი 25 წლის გახდა. ჩვეულებრივ ასეთ საზეიმო დღეს იუბილარი ტურნირში წარმატებას აღწევს. ასეც უნდა მომხდარიყო ბელიავსკის შეხვედრაში სვეშნიკოვთან, რომელიც სიცილიური დაცვის სვეშნიკოვის ვარიანტით დაიწყო. მეტოქეს გამორჩა იუბილარის ტაქტიკური დარტყმა და უპაიკოდ დარჩა. მოგება თითქოს ახლო იყო, მაგრამ ცაიტნოტში დაირღვა პარტიის ლოგიკური მსვლელობა და გადადებულ პოზიციაში ბელიავსკის უკეთეს შემთხვევაში ყაიმი აქვს.

ახალგაზრდა კასპაროვი ბოლო ტურებში გამომგონებლურად, დიდი შემოქმედებითი პათოსით თამაშობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ არ ჰყოფნის სატურნირო გამოცდილება. მიხალჩიშინთან პარტიაში მას აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მეტოქის ცაიტნოტის გამოყენება მოიწადინა, აჩქარდა და რამდენიმე მოუფიქრებელი სვლა გააკეთა. ახლა დამსახურებული გამარჯვების მაგიერ ალბათ დამარცხდება.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო, დღეს მონაწილენი ისვენებენ. 20 დეკემბერს XIII ტური გაიმართება — დაიწყება ფინიში. საინტერესოა ვინ დაეწევა ტალს?

**ვ. მიკენასი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**



გ. კუზმინი.



ვ. მიკენასი



ე. სვეშნიკოვი



ვ. ბაგიროვი

●

ი. ჯაშის მეგობრული შარჟები.

ქალთა ფინიშის სტორჯე

## ფინიშის სტორჯე

ფრუნზე, 18 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში XI და XII ტურები გაიმართა.

XI ტურში ნ. გურიელმა უკვე დებიუტში (უფიმცევის დაცვა) პაიკის შეწირვით მძაფრად შეუტია ნ. ტიტორენკოს (ლვოვი) გვირგვინოსანს და გაიმარჯვა. საქართველოს ჩემპიონმა თ. ხუგაშვილმა ძლიერი იერიშით მოუგო სსრ კავშირის ჩემპიონს ლ. სემიონოვას (კიევი). ყაიმზე შეთანხმდნენ მ. ლიტინსკაია (ლვოვი) — ნ. იოსელიანი და ლ. ბელავენეც — ლ. ზაიცევა (ორივე — მოსკოვი). დანარჩენი პარტიები გადაიდო.

XII ტურში წარმატებით ითამაშა იოსელიანმა, რომელმაც ლ. ლისენკო (კიევი) დაამარცხა. ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) მოუგო ტ. მოროზოვას (ოდესა). ყაიმით დამთავრდა ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — ტ. ჩეხოვას, ზატულოვსკაია — ლიტინსკაიას შეხვედრები.

რანიკუმ გადადო პარტია ბელავენეცთან, ხოლო გურიელ — ლ. სემიონოვას (კიევი) პარტია არ შედგა თბილისელი ოსტატის ავადმყოფობის გამო.

12 ტურის შემდეგ ნ. გურიელს 7,5 ქულა და თითო გადადებული და გამოტოვებული პარტია აქვს, მ. რანიკუს — 7,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, ნ. იოსელიანს — 7,5, მ. ლიტინსკაიას — 7 (1), ტ. ზატულოვსკაიას — 6,5 (1), ნ. ტიტორენკოს — 6,5.

სათამაშო სამი ტური დარჩა.



## მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

იმის შესახებ, თუ რა კეთდება ჭიათურაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების დადგენილების შუქზე, თუ როგორ ემზადებიან რაიონის ფიზკულტურული კოლექტივები საქართველოს VII სპარტაკიადისთვის, მოგითხრობთ ამ გვერდზე დაბეჭდილ მასალებში. გვერდი მოამზადა ჩვენმა კორესპონდენტმა, სპორტის ოსტატმა გ. ბარჯაძემ.



# ცდა უშედეგოდ არ ჩაივლის

**ჭიათურის** სპორტულმა ორგანიზაციებმა კარგად იციან, რომ მომავალი წლის 21 ივლისს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება ხალხთა VII საკავშირო სპარტაკიადა. ჩვენი ქალაქის სპორტსმენები, ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც საქალაქო და რესპუბლიკური სპარტაკიადებისთვის დიდი ხანია ემზადებიან, ცდილობენ ნაყოფიერად გამოიყენონ დარჩენილი დრო, რომ მაღალი სპორტული შედეგები მოიპოვონ და რესპუბლიკის ნაკრებს რაც შეიძლება მეტი შევსება მისცენ.

სპარტაკიადისთვის უკეთ მომზადების მიზნით დროულად შეიქმნა საქალაქო ტურნირის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც პერიოდულად იხილავს ნაკრები გუნდების მზადების, ბაზების მდგომარეობის, სპორტსმენთა მორალურ-ნებელობითი აღზრდის საკითხებს.

ჭიათურელმა სპორტსმენებმა გასული—VI რესპუბლიკური სპარტაკიადის მხოლოდ 11 სახეობაში მიიღეს მონაწილეობა, მაშინ, როცა გაცილებით მეტი შესაძლებლობანი ჰქონდათ. ახლა მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სპორტის ყველა სახეობაში ახალგაზრდების მასობრივად მიზიდვას, მათი საწვრთნელი პირობების გაუმჯობესებასა და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისთვის დაუღალავი შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებას. ჭიათურის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა ბოლო წლების სპორტული შედეგების გათვალისწინებით გადაწყვიტა, რომ რესპუბლიკის სპარტაკიადაში ჭიათურელები სპორტის 22 სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის — ფარიკაობაში, ტყვიის სროლაში, სამბოში, ძიუდოში, ფეხბურთში, ფრენბურთში...

ქალაქის ფიზკულტურის კოლექტივებში უკვე ჩატარდა VII სპარტაკიადის პირველი ეტაპის შეჯიბრებები, რომლებშიც 80-მდე ორგანიზაციის 6000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

საქალაქო სპარტაკიადები ჩაატარეს, აგრეთვე, „განთიადის", „კოლმეურნის", „შრომითი რეზერვების", „სპარტაკის", განათლების განყოფილების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მიმდინარეობს ქალაქის სპარტაკიადა, რომლის 15 სახეობაში შედეგები უკვე შეჯამდა. შეიქმნა ჭიათურის ნაკრები გუნდები, რომლებიც გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით შეუდგნენ საქართველოს სპარტაკიადისთვის ინტენსიურ მზადებას.

კალათბურთელ გოგონათა გუნდს სათავეში ჩაუდგა რ. ჩხეიძე, მოკრივეებს — სპორტის ოსტატი თ. ლოთქიფანიძე, მოჭიდავეებს — სპორტის ოსტატები შ. ხვედელიძე და ჟ. გაბრიჭიძე, მოფარიკავეებს — ტ. მუმლაძე, ძალოსნებს — სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. თურმანიძე და სხვ.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ VII სპარტაკიადაში გაცილებით უკეთესი შედეგები უნდა მოვიპოვოთ, ვიდრე 4 წლის უკან გვქონდა. ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ფეხბურთელების, კალათბურთელების, მძლეოსნებისა და სხვა სახეობების წარმომადგენელთა წლევანდელი შედეგები. ფეხბურთელთა გუნდმა „მაღაროელმა" საქართველოს თასი მოიპოვა, რესპუბლიკურ ჩემპიონატში კი — V ადგილი, კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა საქართველოს ჩემპიონატის I წრეში მეორე ადგილები დაიკავეს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მოფარიკავეთა ტურნირში ვერცხლის პრიზიორი გახდა ჩვენი ქალაქის აღზრდილი გ. დარბაიძე, 10 კილომეტრზე რბენაში საქართველოს ჩემპიონი გახდა გეოლოგი გ. ბურძენიძე, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ასპარეზობაში პირველი ადგილები დაიკავეს პ. გოგსაძემ, გ. ლომიძემ, დ. ხვედელიძემ, რესპუბლიკის ჩემპიონატში კი თავი ისახელეს მოჭიდავეებმა ა. ქველიაშვილმა და გ. ლომიძემ—შესაბამისად II და IV ადგილები დაიკავეს და სპორტის ოსტატის ნორმატივები შეასრულეს.

სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში არც მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას ვივიწყებთ. ფიზკულტურის კოლექტივებში პერიოდულად ტარდება შიდასაკოლექტივო პირველობები, ეწყობა სამატჩო შეჯიბრებები საწარმოების, უბნების, ქუჩების, სახლმმართველობების გუნდებს შორის. გამარჯვებულების წასახალისებლად შემოღებული გვაქვს კომკავშირის ქალაქკომისა და სპორტკომიტეტის პრიზები, სიგელები.

მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისთვის კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ქალაქის კომკავშირულმა და პიონერულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის ერთ-ერთი მოთხოვნის „ყველა მიკრორაიონს — მარტივი ტიპის სპორტული მოედანი"—პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა გრძელდება: ნაგუთის დასახლებაში ეწყობა ფეხბურთის მოედანი, რომელიც კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობადაა გამოცხადებული, შეკეთდა სპორტკომბინატ „მაღაროელის" სპორტული კომპლექსი, სამი სპორტული დარბაზი, გრძელდება მუშაობა ეზოს მოედნების მოწყობისთვის.

სპარტაკიადისთვის მზადებამ წარმატებებთან ერთად ქალაქის სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში ნაკლოვანებებიც დაგვანახა. სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის სათანადოდ გაშლისთვის მთელი დატვირთვით ვერ მუშაობს „კოლმეურნის" საქალაქო საბჭო, რიგ ორგანიზაციებში სპორტული ბაზები სანახევროდ გამოუყენებელია, ქალაქი განიცდის გამოცდილი მწვრთნელებისა და ინსტრუქტორების მწვავე ნაკლებობას...

რამდენიმე წლის წინათ ჭიათურელი მოცურავეები წარმატებით ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. დღეს ამ სახეობაში ჩამოვრჩით იმიტომ, რომ კვალიფიციური მწვრთნელი არა გვყავს. ვფიქრობთ, ამ მდგომარეობას ნაწილობრივ მაინც გამოასწორებდა, თუ ჩვენი ქალაქიდან წარგზავნილებს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჭიათურაში სამუშაოდ გაანაწილებდნენ.

სერიოზული სიძნელეებია ქალაქის სპორტული ინვენტარით მომარაგების მხრივაც. ერთადერთი სპორტული მაღაზია, რომელიც შეუფერებელ ბინაშია, არ მარაგდება საჭირო დასახელებისა და რაოდენობის სპორტული ინვენტარით, ფორმებით, მის ხელმძღვანელობას კი შექმნილი მდგომარეობა არ აწუხებს. ძალზე შეზღუდულია მაღაზიასთან წარმოება-დაწესებულებების საბანკო ოპერაციები, რის გამო თითქმის ყველა ორგანიზაციას აუთვისებელი რჩება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრები, სპორტსმენები კი ინვენტარის მწვავე ნაკლებობას განიცდიან.

ჭიათურის კომკავშირული ორგანიზაციები, ფიზკულტურული კოლექტივები ყველა ღონეს იხმარენ მაქსიმალურად გამოიყენონ რესპუბლიკურ სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო, მიაღწიონ მაღალ სპორტულ დონეს, რათა წარმატებით გამოვიდნენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადას.

**ჯ. იოგაშვილი,**
**საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.**

●

## მთელი წლის მანძილზე

**ტრესტ** „ჭიათურმარგანმშენის" დირექციის ზრუნვა მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელ-სპორტული ღონისძიებების დანერგვისთვის თვალსაჩინოა. ამას ადასტურებს 9 სახეობაში სექციების მუშაობა, კეთილმოწყობილი ბაზები და ისიც, რომ ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრესტის საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებას.

ტრესტის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სასპარტაკიადო წელს ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენი სისტემის სპორტის მოყვარულებს მთელი წლის მანძილზე ჰქონდეთ სამუშაოდან თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების საშუალება.

**შ. გოგსაძე,**
**ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი.**



სურათებზე: ჭიათურელთა მთავარი სპორტული სარბიელი — „მაღაროელის" ცენტრალური ბაზა; საფეიქრო-სართავ... საფლოტაციო ფაბრიკის ზეინკალს, ტურიზმის ინსტრუქტორ თ. მაისურაძეს (წინა პლანზე) მორიგ ლაშქრობაში მიჰყავს ტურისტები.

# პრაქტიკამ დაგვარწმუნა

**ჭიათურის** მარგანეცის სამთამადნო კომბინატის შრომით კოლექტივებში ფიზკულტურასა და სპორტს პროფკავშირული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ. ისინი ითვალისწინებენ, რომ ახალგაზრდებში, მშრომელთა ფართო მასებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში, როცა სწრაფია ტექნიკური პროგრესი და სულ უფრო მცირდება ადამიანის ფიზიკური დატვირთვა.

გამოცდილებიდან ვიცით, რომ იმ საწარმოებში, სადაც კარგად არის დაყენებული თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების საკითხი, მათ შორის ფიზკულტურა და სპორტი, გაცილებით უკეთაა საწარმოო გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულების საქმე, ამიტომ კომბინატის ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობას.

ამ ზრუნვის დასტურია საუკეთესო სპორტული ბაზები: ქალაქის ცენტრში სპორტკომბინატ „მაღაროელის" სტადიონი 10 ათასი მაყურებლისთვის, სარბენი ბილიკები, ზამთრის საცურაო აუზი და სხვ. კარგი სპორტული კომპლექსია ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში. ეს ბაზა ემსახურება ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს მუშამოსამსახურეებსაც. ამ კოლექტივისთვის რეკონსტრუქციის მერე მალე გაიხსნება სპორტდარბაზი, მოკლე დროში საექსპლოატაციოდ გადაეცემა დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს სტადიონი და სპორტდარბაზი. კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას უბნების მიხედვით 12 ფიზკულტურის მეთოდისტი, 4 ფიზკულტურის ინსტრუქტორი და 2 მწვრთნელი ემსახურება.

სპორტული მუშაობისთვის წელიწადში მარტო სასწავლო-სპორტული მუშაობისა და მასობრივ-ფიზკულტურული ღონისძიებებისთვის 27000 მანეთზე მეტი დავხარჯეთ, ეს ცოტა როდია.

ნაყოფიერად მუშაობს სამთამადნო კომბინატის პროფკავშირის კომიტეტთან შექმნილი ტურისტულ-ალპინისტური სექცია, რომელსაც ამ საქმის კარგი სპეციალისტი ბ. სამხარაძე ხელმძღვანელობს. მაღაროელმა სპორტსმენებმა კარგად იასპარეზეს მთო კომპლექსის მრავალჭიდის საქართველოს ზონალურ და ფინალურ ტურნირებში. ელექტრო-მექანიკური ხელოსნობა და სამთამადნო კომბინატის სამმართველოს აპარატის ფეხს იკიდებს საწარმოო ტანვარჯიში, მეორე წელია აქტიურად ვარჯიშობს მაღაროელ რაგბისტთა გუნდი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ვ. დეკანოიძე ხელმძღვანელობს... ერთი სიტყვით, წარმატებები სახეზეა, მაგრამ ასევე თვალნათელია, რომ გამოუყენებელი რეზერვებიც ბევრი გვაქვს. ახლა ... ამოქმედებაა ჩვენი საზრუნავი.

სწორედ ამ მიმართებით ყურადღების გამახვილება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მკვეთრად ავამაღლოთ მშრომელთა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა, რაც თავისთავად განაპირობებს ჩვენს საერთო წარმატებებს, გამოავლენს მომავალ ტალანტებს, რეკორდსმენებს, ჩემპიონებს.

**ნ. გოგისვანიძე,**
**ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე**

# მთავარი მიღწევა

**ჭიათურის** ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკის ფიზკულტურელებმა ბევრი რამ კარგი გააკეთეს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ. მთავარი კი ის გახლავთ, რომ საგრძნობლად იმატა ფიზკულტურელთა რიცხვმა. აქ 600 მუშა-მოსამსახურეა ჩაბმული საწარმოო შრომით ფერხულში. მათ შორის 370 ფიზკულტურელია. ისინი გაერთიანებულნი არიან სპორტის 9 სახეობის სექციებსა და ჯგუფებში. ფაბრიკაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა მასობრივ-გამაჯანსაღებელ და ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს, ტურიზმის დანერგვასა და განვითარებას.

საქართველოს სსრ სპარტაკიადის პირველი ეტაპი — შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა 6 სახეობაში ჩავატარეთ. ასპარეზობამ ... ინტერესო, დაძაბულ ბრძოლებში ჩაიარა და ხელი შეუწყო სპორტში მომეცადინეთა რიგების ზრდას ამ სპარტაკიადის შემდეგ გად... და, რომ ამიერიდან ასეთი ღონისძიებანი რეგულარულად მოეწყობა.

ფაბრიკაში განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს ტურიზმი. მას ამ საქმეში გამოცდილი ინსტრუქტორი, ზეინკალი თ. მაისურაძე ხელმძღვანელობს.

ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკის ფიზკულტურელები ენერგიულად ემზადებიან მომავალი სასპარტაკიადო სტარტებისთვის, რომლის შედეგად საბოლოოდ უნდა დაკომპლექტდეს ჭიათურის ნაკრები.

**ზ. ფხალაძე,**
**ფაბრიკის ზეინკალი**

# ტრადიცია გვავალებს

„**შავი ოქროს**" ქალაქში ბევრი კარგი ფალავანი აღზრდილა, ეს კი თაობათა ესტაფეტის საფუძველს ქმნის. სპარტაკიადისთვის მზადება კარგა ხანია დავიწყეთ: ზაფხულში ჩავატარეთ ქალაქის პირველობები ჭიდაობის ყველა სახეობაში, დავაკომპლექტეთ ნაკრები გუნდები, რომლებიც გეგმის მიხედვით გადიან წვრთნას. გვყავს ახალგაზრდა სპორტსმენთა საიმედო თაობა და ვფიქრობთ, რომ ეს ჭაბუკები, კერძოდ, ა. ქველიაშვილი, გ. ლომიძე, ი. ჭუმბურიძე, პ. გოგსაძე, დ. აბესაძე და სხვები ღირსეულად დაიცავენ ქალაქის ღირსებას მომავალ სპარტაკიადაზე.

რესპუბლიკის გასულ სპარტაკიადაზე ჭიათურის სპორტული დელეგაციის, ქალთა მეხამედი სწორედ მოჭიდავეებმა მოაგროვეს. პოზიციების დათმობას არც ამჯერად ვაპირებთ. ამას გვაფიქრებინებს ის წარმატებები, რომელიც წელს მიაღწიეს ჩვენმა ათლეტებმა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში 7 ჭიათურელი გახდა ჩემპიონი.

მუშაობაში დიდ დახმარებას გვიწევს ქალაქის ხელმძღვანელობა, სპორტკომიტეტი, სამთამადნო კომბინატის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირი. საქართველოს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველომ კარგი საჭიდაო ლეიბი გამოგვიყო.

გვაქვს პრობლემებიც: ისევ მცირე დარბაზი შესაკეთებელია, საშხაპეებში ცხელი წყალი არ მოდის, ნაკლებია საჭიდაო ფორმა.

**შ. გაბრიჭიძე,**
**თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.**

# პირველი, ყველაზე მასობრივი ეტაპი

„ოლიმპიელები ჩვენს შორის!“ — ასეთია ბავშვთა საკავშირო სპორტული თამაშების „იმედის სტარტების“ დევიზი: ამ პოპულარული ასპარეზობის მონაწილეთა უმრავლესობა მიისწრაფვის არა მარტო ეზიაროს სპორტის ლამაზ სამყაროს, ფიზიკურად გამოიწრთოს, არამედ მთელი აზარტით იბრძოლოს ჩემპიონის მედლებისთვის, რეკორდებისთვის.

დასამახსოვრებელია კრასნოიარსკელი მეშვიდეკლასელი ს. კობილკოვას სახელი. თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ნორჩ ციმბირელს საკავშირო თამაშების ორი რეკორდი ეკუთვნის: 60 მეტრზე რბენაში (7,9) და სიგრძეზე ხტომაში (550 სმ).

რა თქმა უნდა, ყველა ვერ გახდება ჩემპიონი, ყველა ვერ დაამყარებს რეკორდებს, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული უნდა იყვნენ: თითოეული, ვინც მონაწილეობას ღებულობს „იმედის სტარტებში“, უფრო ძლიერი და გამძლეა, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თამაშების ჩატარების ორგანიზებაში მთავარ ფიგურას მასწავლებელი წარმოადგენს. ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ფიზკულტურის მასწავლებელს გაუჭირდებოდა, კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივი რომ არ ედგეს მხარში.

დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, შეფების ყოველდღიურ დახმარებას. მაგალითად, ქალაქ ჟდანოვის 56-ე სკოლის VIII კლასს შეფობას უწევენ „აზოვსტალის“ კლუბის სპორტსმენები, ხოლო ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი მძლეოსნობაში ლ. სამოტიოსოვა ბრიანსკში ატარებს ვარჯიშებს, ეხმარება სასკოლო შეჯიბრებების ორგანიზებასა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. ყარაგანდის ოლქში ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები საინსტრუქტორო და სამსაჯო მუშაობის პრაქტიკას გადიან მიმაგრებულ სკოლებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ბავშვთა შეჯიბრებების ჩატარებაში.

ესაა „იმედის სტარტების“ პირველი, ყველაზე მასობრივი ეტაპის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და კლასები, რომლებმაც ოლქებში, მხარეებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში და „იმედის სტარტების“ შეჯიბრებებში უმაღლესი სპორტული შედეგები აჩვენეს, დაჯილდოვდნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელით და ემბლემით — „ბავშვთა საკავშირო სპორტული თამაშების „იმედის სტარტების“ გამარჯვებული“.

ბავშვთა ამ სპორტულ ფორუმში ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ფინალები, რომელშიც „არტეკის“ სპორტულ ბაზებზე 130 საუკეთესო სპორტული კლასის 3600 მოსწავლე ასპარეზობდა. როგორც ცნობილია, ფინალისტებთან სტუმრად ჩამოვიდნენ სახელგანთქმული ოსტატები, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. პროზუმენშჩიკოვა, ლ. ბრაგინა, ი. ლუსისი, ტ. ზელენცოვა, ვ. კუზკინი, ა. ივანიცკი, ნ. გრებნიოვი, ა. კორნელიუკი, ე ოზოლინა. მათ ბავშვებს გაუზიარეს თავიანთი სპორტული „საიდუმლოებები“.

...ეს-ეს არის დამთავრდა 1978 წლის თამაშები, მაგრამ ბავშვები უკვე შეუდგნენ IV საკავშირო თამაშებისთვის მზადებას. საბჭოების შემდგომი მუშაობის აქტივიზაციისათვის, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივებისთვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო სპორტკომიტეტმა და სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ უკვე დაიწყო და 1979 წლის 15 მარტამდე აწყობს რაიონების, ქალაქების, ოლქების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების რეიდებს და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რეიდებსა და შემოწმებებს.

(საქტეინი)

# იმედი არის, დანარჩენი ჩვენს ხელთაა

დასასრული

— ტურნირის შემადგენლობა ერთობ ძლიერია. პირველი, რაც თვალში მოხვდება კაცს, ძალისმიერი ორთაბრძოლებია. თუმცა, ეს სრულებით არ გამორიცხავს ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მომენტებს. სწორედ პირიქით. —. სიტყვა თანამემამულეებზე ჩამოვუგდე. — ტექნიკურად თითქმის უნაკლოდ არიან მომზადებულნი, სასიამოვნოა, რომ წმინდა ფიზიკურ გამძლეობაშიც არავის უდებენ ტოლს, აი ფსიქოლოგიური მხარე კი... თქვენი ბიჭები ერთ შეხვედრას ბრწყინვალედ ჩაატარებენ, მეორეში კი ველარც იცნობთ. მაგალითი გნებავთ? ქუთაისელი ოდიშარია, მშვენიერი ყმაწვილია და ზემოხსენებული ხინჯი რომ არა, თავის წონაში უეჭველი ფავორიტი იქნებოდა. თუმცა ცოტა კიდევ მოვიცადოთ, ამ თვალსაზრისით უთუოდ საინტერესო უნდა გამოდგეს ლატარიასა და ანდრეევის მომავალი პაექრობა.

მერე კულისებში თვითონ სპორტსმენიც მოვძებნე. რას ფიქრობთ-მეთქი ანდრეევთან შეხვედრაზე.

— უნდა გავიმარჯვო. შევეცდები, უფრო სწორად, მინდა ვაიძულო, თვითონ შემიტიოს. წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა, ერთი კი ვიცი, ჯიქურად არ შევუტევ-ვნახოთ.

...მეორე პერიოდი კიეველმა ჩვეული მანერით დაიწყო და პირველი გაფრთხილებაც მიიღო. იცდის თბილისელიც — მსაჯები ლატარიასაც აფრთხილებენ.

მეტოქეები არც დაღლილან და პასიურობის შთაბეჭდილებაც მხოლოდ გარეგნულია. ტაქტიკურ ჭიდილს რაღაც უნდა მოჰყვეს. მოჰყვა კიდეც. პერიოდის ბოლოს დათომ ორქულიან ილეთს იქვე ერთი ქულაც დაამატა და დაწინაურდა — 10:7. ამ, ალბათ გადამწყვეტ წამებზე ორგვარად შეიძლება ითქვას: შეცდა ანდრეევი, ახლა იმარჯვა ლატარიამ. თუმცა ეს ფაქტიურად ერთი და იგივეა. სპორტი ყველანაირი შეცდომა იძულებითია.

მესამე პერიოდი. იგრძნობა რომ ანდრეევს ფსიქოლოგიური საყრდენი გამოეცალა — მისთვის უჩვეულო მანერით იბრძვის. ცხრა წუთი ამოიწურა — 14:8. ტაქტიკური და მასთან ერთად საერთო გამარჯვებაც სავსებით დამსახურებულად ქართველ სპორტსმენს დარჩა.

უეჭველია, სპორტში ნებისმიერი ორთაბრძოლისთვის სათანადოდ მომზადებაა საჭირო. ამის საილუსტრაციოდ აღვწერეთ ეს ორთაბრძოლაც, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რომ არ დარჩეს მკითხველს, რომ ის ერთადერთი, სასიამოვნო გამონაკლისი იყო, ისევ ტურნირს, კერძოდ კი თემურ ყაზარაშვილსა და ავთანდილ ქველიაშვილს მივმართოთ.

ჭიდაობის მოყვარულებს ბევრი სასიამოვნო წუთი განაცდევინა თემურ ყაზარაშვილმა. 48 კგ წონითი კატეგორია ჩვენთვის ტრადიციულად სუსტი ადგილია. მით უფრო სასიხარულოა თემურის (მწვრთნელები: ი. ჩხარტიშვილი, ო. გუგეშაშვილი) ლამაზი, აგრესიული ჭიდაობაცა და გამარჯვებაც. იუნიორთა შორის სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი, ევროპის პირველობის პრიზიორი ყველა ორთაბრძოლაში, როგორც უკანასკნელსა და გადამწყვეტში, ისე იბრძოდა. მართალია ერთხელ, მაგრამ სწორედ გადამწყვეტ მომენტში გამოავლინა შეუპოვრობა ავთანდილ ქველიაშვილმაც. ამ შეხვედრაზე ნამდვილად ღირს რამდენიმე სიტყვის თქმა.

57 კგ წონაში მეოთხე წრეს ოთხი სპორტსმენიღა შემორჩა. მას შემდეგ, რაც ბესიკ გოგინაშვილმა დაამარცხა კურგანელი ფედოსეევი, ქველიაშვილს ფინალში გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება აძლევდა და ხელს ასლან ასხაბოვთან პაექრობაში. იყო მეორე მომენტიც. ამ გამარჯვებით ავთანდილს ტურნირის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე პირველ ადგილზე „გაჰყავდა“ თანაგუნდელი. კიეველი პირველივე წუთებიდანვე დაწინაურდა და მერე როგორ — მეორე პერიოდში სხვაობამ ათ ქულას გადააჭარბა. ალბათ მართლა ვაჟკაცობა სჭირდებოდა ამ უიმედო ორთაბრძოლის შემობრუნებას. სპორტსმენმა ყველაფერი შეალია დარჩენილ წუთებს და შეუძლებელიც შეძლო — ქულებით დაამარცხა (16:15) მეტოქე.

ტურნირები, რომლებშიც მომავალი ჩემპიონები ასპარეზობენ (სწორედ ასეთი იყო თბილისის I საერთაშორისო ტურნირი), უამრავ სპეციალისტს უყრის თავს. ვფიქრობ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კლასიკოსთა უფროსი მწვრთნელის ჰაინც ოსტერმანის შთაბეჭდილებები. მწვრთნელი სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციამ საპატიო სტუმრად მოიწვია თბილისში.

— თქვენი შემყურე უთუოდ ილეთებს პანტა-პუნტით უნაცვლებდა — ხან მარჯვნივ, ხან — მარცხნივ.

გამეცინა — ვინ იცის, რამდენი წლის შემდეგ იცნო სახელოვანი ფალავანის ხელწერა გერმანელმა მწვრთნელმა.

ოსტერმანი საარბრიუკენში ცხოვრობს. თბილისელთათვის ძალზე ნაცნობი ქალაქია და იქნებ იმიტომაც თქვა ჩვენმა სტუმარმა:

— სადაც არ უნდა ვიყო, ფრანკფურტელი ვარ-მეთქი, ვამბობ. ჩემი მშობლიური პატარა ქალაქი არსად არა აქვთ გაგონილი. თბილისი ერთადერთია, სადაც თამამად შემიძლია ვთქვა — საარბრიუკენელი ვარ. ისე, კაცმა რომ თქვას, — აგრძელებს ჰაინც ოსტერმანი, — თუ კი ჩვენს ქალაქებს შორის უკვე ტრადიციად იქცა კულტურული ურთიერთგაცვლა (სტუმარი ხელოვნებას გულისხმობს), რატომ არ უნდა გავცვალოთ სპორტული დელეგაციებიც. გუშინ სწორედ ამ საკითხზე ვსაუბრობდი სპორტკომიტეტის ერთ-ერთ წარმომადგენელთან.

ჭიდაობის მწვრთნელს ფეხბურთზე ვეკითხები. ამას წინათ „ჰერტას“ მწვრთნელმა ჩვენი გუნდი მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს“ მიამგვანა-მეთქი.

— ფეხბურთი არ მაინტერესებს. უფრო სწორად პრინციპულად არ მაინტერესებს. სხვათა შორის, ჭიდაობის მწვრთნელობის ლიცენზიასთან ერთად ფეხბურთისაც მივიღე, მაგრამ... ჩვენში მხოლოდ ფეხბურთი აკერიათ პირზე. უამრავი მაყურებელი ჰყავს, აუარებელ ფულს „ჭამს“ სპორტის ეს სახეობა, ჭიდაობა კი გერიდით არის. ამის შედეგია ჩემი პრინციპულობაც.

ეროსლა დავამატებ. ჰაინც ოსტერმანი ახლა სასწავლო-პოპულარულ წიგნს წერს ჭიდაობაზე — „ჭიდაობა ყველასთვის“.

— ერთი ნაწილი მოთავებული მაქვს, ისტორიაზე კი ცოტა შევეფერხდი, ჩვენში ერთობ ცოტა წიგნია მიძღვნილი ჭიდაობისადმი.

იფიქრებს, რომ მოსაწყენად ვერ მოგიცლიათ (ოსტერმანი ერთი წუთითაც არ სტოვებდა დარბაზს, ერთთავად მომარჯვებული ჰქონდა ავტოკალამი და უბის წიგნაკი).

— ძალიან საინტერესო ტურნირია. თითქმის ყოველი ორთაბრძოლა დინამიური, დაძაბულია. საოცარი ის არის, რომ სპორტსმენები ბოლომდე უძლებენ, ძალასა და ბრძოლის ჟინს ინარჩუნებენ. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ილეთების ასეთი სიუხვე, თანაც რისკიანი ილეთების სიუხვე, კარგა ხანია არ მინახავს. პირდაპირ ფეიერვერკია. ამ თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიც კი, იქ სიფრთხილე, ანგარიშიანობა უფრო სჭარბობს. ეს კი ძალზე აუფერულებს, ალარიბებს ჭიდაობას. ამ ტურნირზე არა ერთი და ორი ჩემთვის უცნობი ილეთიც ვნახე. აი საბუთი (ოსტერმანი იღიმის და ჩანაწერებით სავსე წიგნაკს მიჩვენებს). მიმაჩნია, რომ ბედმა გამიღიმა.

— მსაჯები...

— უაღრესად ობიექტური მსაჯობაა. იმავე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებში ამგვარ მსაჯობაზე ოცნება თუ შეიძლება. და კიდევ ერთი. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია კარგა ხანია ორთაბრძოლების გააქტიურებისთვის, კლასიკური ჭიდაობის გამოცოცხლებისთვის შესაბამისად ცვლის წესებს. სწორედ ამ მიზნით ეწვია თბილისს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი, ირანელი ალირეზა რეზაყი. ეს არის მსაჯობის საერთო დონის შეჯერება-გათანაბრების ერთობ საჭირო აქცია. სასიამოვნოა, რომ თბილისის ტურნირში მოწვეული არბიტრები ახალ მოთხოვნებს სავსებით პასუხობენ. სპორტსმენებს არა აქვთ ბრძოლისაგან თავის არიდების, პასიურობის საშუალება.

ჩემი თანამოსაუბრე მოულოდნელად წყვეტს საუბარს და ერთ-ერთი ხალიჩისკენ მახედებს: „რუერუა! რურუა!“

ჯერ ვერ მივხვდი — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ტურნირის მთავარი მსაჯია და ხალიჩაზე რა უნდა-მეთქი, ვფიქრე. მაინც გავიხედე:

ყაზარაშვილს მეტოქე „პარტერში ჩაემწყვდია“ და ორქულიან

დამთავრდა თბილისის საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი. გამოვლინდნენ გამარჯვებულნი, მწვრთნელებმაც ალბათ უკვე მონიშნეს იმ კანდიდატთა წრე, მომავალში ქვეყნის ნაკრების ბირთვად რომ იქცევა. კვლავ დაადასტურა თავისი უპირატესობა მსოფლიოს ჩემპიონმა იუნიორთა შორის, ერევნელმა ბ. ფაშაიანმა. ამ სპორტსმენს უეჭველად დიდი მომავალი ელის. საუცხოოდ იასპარეზა ბულგარელმა რ. გეროვსკიმაც (სხვათა შორის, ამ ათლეტის ნამსახურობათა სიაში ოლიმპიურ ჩემპიონ პ. კოლჩინსკისთან გამარჯვებაც არის აღნუსხული). ახალი სახელებიც არის და საერთოდ, სპეციალისტთა აღიარებით ტურნირმა გაამართლა თავისი დანიშნულება.

საკმაო საფიქრალი გაუჩნდებათ ჩვენი რესპუბლიკის მწვრთნელებსაც. სამი პირველი ადგილი, რა თქმა უნდა, წარმატებაა, მაგრამ ამით დაკმაყოფილება შეცდომა იქნებოდა. ერთი დეტალი: 74 კგ-დან მოყოლებული მძიმე წონამდე არც ერთი პრიზიორი არა გვყავს. იქმნება საშიშროება, რომ ამ კატეგორიებში რამდენიმე წლის შემდეგ თითქმის აღარაფერი შეგვრჩება ხელში. არადა, ტრადიციულად სწორედ აქ ვიყავით ძლიერნი. სასიხარულოა დაბალ წონებში წარმატება, მაგრამ ვერაფერი სასიამოვნოა თუ ეს „მძიმეთა“ ხარჯზე მოხდება.

და მაინც, ახალგაზრდა ქართველ კლასიკოსთა მიერ ამ ძნელ ტურნირში ნაჩვენები შედეგი უთუოდ სახავს საიმედო პერსპექტივებს. დანარჩენი, რომ იტყვიან, ჩვენივე ხელთაა.

ი. გერიაშვილი.





## პრიზიორები

48 კგ: თ. ყაზარაშვილი (საქართველო), ი. უმაევი (სსრკ), ზ. სტოიანოვი (ბულგარეთი).

52 კგ: ბ. ფაშაიანი (სსრკ), დ. ბროზოვიჩი (იუგოსლავია), ვ. პოტაპოვი (სსრკ).

57 კგ: ბ. გოგინაშვილი (საქართველო), გ. ფედოსეევი (სსრკ), ა. ქველიაშვილი (საქართველო).

62 კგ. მ. პროკუდინი (სსრკ), კ. ტიენტო (პოლონეთი), პ. ლეხვილანენი (ფინეთი).

68 კგ: დ. ლატარია (საქართველო), ე. კალუჟნი (პოლონეთი), ბ. ჯუკიჩი (იუგოსლავია).

74 კგ: ვ. გარტმანი (სსრკ), ვ. არსენევი (სსრკ), ტ. ლეპტო (ფინეთი).

82 კგ: ნ. სბიტნევი (სსრკ), ე. სტამოვი (ბულგარეთი), ო. მოლნარი (უნგრეთი).

90 კგ: ვ. ჟდანოვი (სსრკ), დ. რიბარიჩი (იუგოსლავია), კ. ვილჩევსკი (პოლონეთი).

100 კგ: ვ. ცოკოლაევი (სსრკ), ვ. კლიმენკო (სსრკ), რ. ბინჯევსკი (პოლონეთი).

მძიმე: რ. გეროვსკი (ბულგარეთი), ი. კარაპეტიანი (სსრკ), ლ. ტოტი (უნგრეთი).

* * *

სურათებზე: იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ერევნელი ბ. ფაშაიანისა (ქვემოთ) და აბაკანელი ვ. პოტაპოვის შეხვედრის მომენტი; გფრ-ის „კლასიკოსთა“ ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჰ. ოსტერმანი; 68 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული დ. ლატარია (შუაში) და პრიზიორები — ე. კალუჟნი (პოლონეთი), ბ. ჯუკიჩი (იუგოსლავია); 57 კგ. წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებზე ორი ქართველი სპორტსმენია — ა. ქველიაშვილი — III ადგილი (მარცხნივ) ბ. გოგინაშვილი — I ადგილი (შუაში), მეორე იყო გ. ფედოსეევი; 48 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული თ. ყაზარაშვილი.

ე. ხუცურაულის ფოტოები.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძლიერესია აჭარის ნაკრები

**მაგიდის ჩოგბურთი**

**აჭარის** მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი, რომელსაც მწვრთნელი კ. გუგუშვილი უდგას სათავეში, ყოველთვის გამოირჩევა მაღალი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადებით, ბრძოლისუნარიანობითა და შეუპოვრობით. სწორედ ამ კოლექტივმა მოიპოვა ამ დღეებში ქუთაისში გამართულ საქართველოს პირად-გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებულის სახელი.

აჭარის ნაკრების სული და გული ჩვენი ქვეყნისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. სარხოიანი იყო. მას თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და საერთო ჩათვლაში 830 ქულით პირველობა არავის დაუთმეს, თბილისის ნაკრებმა (მწვრთნელი პ. აივაზოვი) 714 ქულა მოაგროვა და II ადგილზე გავიდა. III იყო ქუთაისის კოლექტივი (მწვრთნელი ი. ნაცვლიშვილი) — 294 ქ. მათ გარდა შეჯიბრებაში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის მაგიდის ჩოგბურთელებიც მონაწილეობდნენ.

გუნდური პირველობის შემდეგ გაიმართა პირადი შეჯიბრება. ვაჟთა შორის ერთეულთა თანრიგში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ს. სარხოიანმა (აჭარა). მან ადვილად დაამარცხა ცხრავე მეტოქე. II ადგილზე მისი ძმა გ. სარხოიანი გავიდა, III-ზე — 17 წლის თბილისელი ჩოგბურთელი მ. მაცაბერიძე.

ქალთა შორის ყველას აჯობა გამოცდილმა ჩოგბურთელმა ს. პარფინიდიმ (აჭარა), II და III ადგილებზე თბილისელი სპორტსმენები ა. სუჯაშვილი და ნ. გოზალიშვილი გავიდნენ.

წყვილთა თანრიგების ტექნიკური შედეგები ასეთია:

ქალთა წყვილი. 1. ს. გვილავა, ა. სუჯაშვილი (თბილისი), 2. ს. პარფინიდი, ლ. კარაპეტიანი (აჭარა), 3. ნ. გოზალიშვილი, მ. ქამიერაშვილი (თბილისი).

ვაჟთა წყვილი. 1. რ. დოლიძე, ზ. უკლება (აჭარა), 2. ს. და გ. სარხოიანები (აჭარა), 3. გ. გვათუა, დ. გოგოლაძე (თბილისი).

შერეული წყვილი. 1. ს. პარფინიდი, ს. სარხოიანი (აჭარა), 2. ა. სუჯაშვილი, დ. მელაძე (თბილისი), 3. ნ. გოზალიშვილი, მ. ბირბიჭაძე (თბილისი).

მალე საქართველოს საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელები რესპუბლიკის თასისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან.

**გ. ლიუბარსკი,**
**შეჯიბრების მთავარი მდივანი.**

## კალათბურთი

**მინსკში** დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. რიგით მეოთხე გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“. ამჯერად ლიდერმა დაამარცხა კიევის ასკ — 126:103 (62:63). მოსკოველთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ჟიგილიი (38 ქ.), ამდენივე ქულა შესძინა კიეველებს სალნიკოვმა.

ამავე დღეს კაუნასის „ჟალგირისმა“ პირველი გამარჯვება იზეიმა — დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ — 85:73 (44:48). მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე „ჟალგირისი“ აგებდა. კაუნასელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში (73:73), მერე კი 12 ქულა მოაგროვეს. ლენინგრადელებმა ამ მონაკვეთში ბურთის ჩაგდება ვერ მოახერხეს — იშვიათი შემთხვევაა!

ვილნიუსის „სტატიბამ“ დაამარცხა მინსკის რტი — 86:78 (52:46).

მინსკის ჯგუფში პირველი წრის შემდეგ 4-4 ქულა აქვთ „დინამოსა“ და „სტატიბას“, ორ-ორი — „სპარტაკს“, რტი-სა და ასკ-ს, ერთი — „ჟალგირისს“.

## თხილამურები

**იტალიის** სამთო კურორტ სანტა კრისტინას მიდამოებში გაიმართა სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების IV ეტაპის შეჯიბრება, რომლის პროგრამაში სწრაფდაშვება იყო. I ადგილი წილად ხვდა ავსტრიელ ი. ვალჰერს — 2:11,86. კემეროვოელმა ვ. მაკეევმა აჩვენა 2 წუთი და 13,21 წამი და VI ადგილი დაიკავა. იგი მხოლოდ 0,03 წამით ჩამორჩა ინსბრუკის ოლიმპიურ ჩემპიონს ამ სახეობაში, ავსტრიელ ფ. კლამერს, რომელიც V ადგილზე გავიდა.

მსოფლიო თასის გათამაშების ოთხი ეტაპის ჯამში მაკეევი VI ადგილზეა. საბჭოთა სამთო-მოთხილამურეთა შორის აქამდე ასეთი შედეგისთვის არავის მიუღწევია.





# სეზონი გაიხსნა!

**მასპინძლობს ბაკურიანი**

**მდიდარია** მიმდინარე ზამთრის სეზონის სპორტული კალენდარი: ბაკურიანში სხვადასხვა რანგის ტურნირები მოეწყობა თხილამურებით რბენაში, ტრამპლინიდან ხტომაში, სამთო-სათხილამურო სპორტში, ორჟიდში, ციგაობაში...

**აქ დღეს იწყება წლევანდელი სეზონის ოფიციალური გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზებზე — ერთმანეთს შეეჯიბრებიან მორბენლები, „მფრინავი“ და სამთო-მოთხილამურეები, რომლებიც შედეგებს ოთხი დღის მერე შეაჯამებენ და საერთო გუნდურ ჩათვლაში პრიზის მფლობელის ვინაობაც გაირკვევა.**

აქ განსაკუთრებით ახალი წლის დადგომის შემდეგ გაჩაღდება უშეღავათო ბრძოლები, რომლებშიც მარტო ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები კი არა, სხვა ქვეყნების საუკეთესო წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას: **12-14 იანვარს ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზებზე ტრამპლინიდან ხტომაში,** ოთხი დღის შემდეგ ბაკურიანის ტრამპლინები დაეთმობათ სსრ კავშირის თასებისთვის მებრძოლ სპორტსმენებს, კიდევ ორი დღის მერე კი გათამაშდება ქვეყნის თასი ორჟიდში.

სამთო-მოთხილამურეების თვის ცენტრალური შეჯიბრება იქნება საკავშირო ჩემპიონატის III ტური — „ლელოს“ პრიზების გათამაშება, რომლის გამართვა 7-14 თებერვალსაა ნავარაუდევი. ჩატარდება, აგრეთვე, საქართველოს პროფსაბჭოს სპარტაკიადა, რესპუბლიკის ჩემპიონატები და პირველობები სხვადასხვა ასაკის მოთხილამურეებისთვის.

ბაკურიანი კვლავაც უმასპინძლებს ქვეყნის ნაკრებ გუნდებს, სპორტსმენებს, რომლებიც შემდეგ დიდ საერთაშორისო ტურნირებში, მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში ისპარეზებენ.

## ძალოსნობა

**ფერგანაში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ძალოსნობაში.

ნ. კოლესნიკის (100 კგ) დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით. დავუმატებთ, რომ ხმელნიცკელი ძალოსნის გამარჯვებით დამთავრდა ასპარეზობა როგორც ორჭიდში (377,5 კგ), ისე ატაცში — 180 კგ. აკვრაში გაიმარჯვა ტარტუელმა ა. პაავსმა — 212,5 კგ.

110 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა ერევნელმა რ. ოჰანესიანმა — 392,5 კგ. ასეთივე შედეგით მეორე იყო უფელი პ. გორულევი, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა გამარჯვებულის თანაქალაქელი გ. არუთინიანი — 387,5 კგ. ცალკეულ მოძრაობებში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვეს: ატაცში — გორულევმა (177,5 კგ), ხოლო აკვრაში — ბროვარერელმა ვ. კუზნიჩენკომ — (225 კგ).

110 კილოგრამს ზევით წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო სმოლენსკელი ვ. ოკოროკოვი — 415 კგ.

# ფინალი — 21 დეკემბერს

**ჩატარდა** ფეხბურთში უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები.

ბათუმის პედინსტიტუტის გუნდმა შინ მიიღო პოლიტექნიკური ინსტიტუტის (თბილისი) კოლექტივი. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2. განმეორებითი შეხვედრა პოლიტექნიკოსებმა მოიგეს ანგარიშით 5:1.

სოხუმის პედინსტიტუტის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მარცხი განიცადეს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის (თბილისი) გუნდთან — 0:1, ხოლო განმეორებით მატჩზე თბილისში აღარ გამოცხადდნენ.

ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური თასის ფინალში გავიდნენ პოლიტექნიკური და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტების გუნდები. მათი ფინალური მატჩი 21 დეკემბერს შედგება თბილისის დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონზე. დასაწყისი 14 საათზე.

## ფეხბურთი

### ჩემპიონატამდე 8 წლით ადრე

**ნიუ-იორკი.** მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში გაიმართება 1982 წელს ესპანეთში. შემდგომი ტურნირის ჩატარება ნავარაუდევია 1986 წელს კოლუმბიაში. აი, რა გადმოსცა ამ ქვეყნის დედაქალაქიდან იუპ-ის სააგენტოს კორესპონდენტმა:

პოლიტიკური მოღვაწეები, მიმომხილველები და სპორტული კომენტატორები ეჭვს გამოთქვამენ კოლუმბიაში მსოფლიო პირველობის ჩატარების გამო. ხოლო, თუ კოლუმბია მერყეობას დაიწყებს, მაშინ, როგორც იტყობინებიან, ბრაზილია და შეერთებული შტატები განაცხადებენ ჩემპიონატის ჩასატარებლად თავიანთი ქვეყნის მზადყოფნას.

მაგრამ ახლახან კოლუმბიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა განაცხადა: „შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ კოლუმბია ჩაატარებს მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში იმ წელს, როცა ის გათვალისწინებულია“.

ამავე დროს გამოქვეყნდა ამ ქვეყნის განათლების მინისტრის როდრიგო ლორედას განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ ვერ მივიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ამ ასპარეზობისთვის დიდი სახსრები იქნება საჭირო...“

ლორედამ გამოთქვა, აგრეთვე, ეჭვი, რომელიც ბევრ კოლუმბიელს აწუხებს, კერძოდ, ის, რომ 1986 წლისთვის კოლუმბიას ალბათ არ ეყოლება ფეხბურთელთა ძლიერი ნაკრები, რომელიც შეძლებს ღირსეულად წარმოადგინოს ქვეყანა ჩემპიონატზე.

სპორტის ამ სახეობაში კოლუმბია არ ბრწყინავს არგენტინასავით, რომელიც ათეული წლების მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო ქვეყანათაგანია. კოლუმბიის მხოლოდ ერთი გუნდი — „დეპორტო კალი“ წლეულს პირველად მოხვდა სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშების ფინალში. უნდა აღინიშნოს, რომ მის შემადგენლობაში სამი ფეხბურთელი არგენტინელია.

1986 წელს მატჩები, როგორც ჩანს, ჩატარდება ბოგოტაში, მედელინში, კალში, ბარანკილში და ბუკარამანგში. ქვეყნის კიდევ შვიდმა ქალაქმა გამოთქვა მატჩების გამართვის სურვილი.

ბოგოტაში, მედელინსა და კალიში არის დიდი სტადიონები და ეროვნული სპორტული კომიტეტი იმედოვნებს, რომ ყველა სარბიელი მზად იქნება 1982 წლისთვის, როცა ფიფა-ს წარმომადგენლები ჩავლენ საინსპექციოდ. (საკდესი).

**ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ამ გათამაშების ფინალური ტურნირი 1980 წლის ზაფხულში ჩატარდება რომის, ნეაპოლის, მილანისა და ტურინის სტადიონებზე. ორგანიზატორებმა ნებართვა ითხოვეს გაუთვალისწინებელი დაბრკოლების შემთხვევაში ცალკეული მატჩები გამართონ ფლორენციასა და გენუაში.

**80 წლის** წინ ვენაში ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი „რაპიდი“. სადღეისოდ იგი ავსტრიის რეკორდსმენია ჩემპიონობისა და თასის მოპოვების რაოდენობით.

ამასთან დაკავშირებით ვენის „პრატერის“ სტადიონზე მოეწყო „რაპიდის“ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დასავლეთ გერმანიის „შალკე-04“-თან. შეხვედრა იუბილარის მარცხით დამთავრდა — 0:2. ბურთები გაიტანეს აბრამჩიკმა და ფიშერმა.

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ცნობილი მოთამაშე ჰოინესი, რომელმაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში 35 მატჩი ჩაატარა, შეისყიდა „ჰამბურგმა“.

# მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში



### ჩოგნები ხოშიმინიდან

**ჰანოი.** სპორტსმენებმა კარგი შეფასება მისცეს მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ჩოგნებს, რომლებსაც უშვებს ხოშიმინის ახლახან აგებული სპორტული ინვენტარის ფაბრიკა. ვიეტნამურმა ჩოგანმა გამოცდა ჩინებულად ჩააბარა ჰანოისა და ხოშიმინის უძლიერეს სპორტსმენთა შეხვედრაში. განზრახულია, რომ ამ ჩოგნებით ითამაშებენ საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებიც. ხოშიმინის ფაბრიკა მოკლე დროში გამოუშვებს ნახევარ მილიონ მაგიდის ჩოგბურთის ჩოგანს, რომელიც ნატურალური კაუჩუკისგან მზადდება და მსოფლიო სტანდარტებს უთანაბრდება. მოგვიანებით, ხოშიმინის სპორტული ინვენტარის ფაბრიკა აითვისებს ფრენბურთის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის ბურთების დამზადების საქმეს. (საკდესი).

●

**ყველა იცნობს მოსკოვის ოლიმპიადის თილისმას — მიშკას, ბრნოს საწარმოო გაერთიანებამ დაიწყო სხვადასხვა ზომის ხავერდის დათუნიების გამოშვება.**

● ● ●

**ს უ რ ა თ ზ ე:** ყველაზე დიდი — მეტრნახევრიანი მიშკა.

**საკდესის ფოტო.**

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოვლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.